ს(ს)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად რექტორის 2024 წლის 05 სექტემბრის N237/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის არაბისტიკის კათედრაზე კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 07 ოქტომბრის N: 118/2024 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

ოქმი N4 (შემაჯამებელი)

ქ. თბილისი **„24" ოქტომბერი 2024 წ.**

17[00] სთ; თსუ მეხუთე კორპ., ოთახი 114

სხდომას კომისიის 5 წევრიდან ესწრებოდა 5 წევრი -

1. დარეჯან გარდავაძე - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
2. ნანი გელოვანი - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;
3. მაია ანდრონიკაშვილი - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (თავმჯდომარის მოადგილე);
4. მარიამ ნანობაშვილი - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი);
5. თამარ მოსიაშვილი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

დღის წესრიგი:

1. კენჭისყრის შედეგების შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსათვის დასამტკიცებლად გადაცემა.

1. კომისიის თავმჯდომარისა და წევრთა მიერ შემაჯამებელ სხდომაზე აღინიშნა, რომ აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის **არაბისტიკის** კათედრაზე (ასოცირებული პროფესორის თანამდებობა, 1 საშტატო ერთეული, „ა" კატეგორია) გამოცხადებულ კონკურსში საკონკურსო თანამდებობაზე წარმოდგენილია ერთი პრეტენდენტის კანდიდატურა. პრეტენდენტი (**არაბისტი გიორგი ლობჟანიძე**) კონკურსის ორივე ეტაპზე მაღალი შეფასებით იქნა შეფასებული.

საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტის (კონკურსის მეორე ეტაპზე გადასვლის შემდეგ უკვე პრეტენდენტის) შეფასებები აისახა ,,კონკურსანტის შეფასების ფორმაში".
შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით კონკურსანტმა მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს";

II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება;
აღნიშნული შეფასების საფუძველი გახდა კონკურსანტის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მრავალწლიანი სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე, მის მიერ არაბისტიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე წაკითხული საავტორო კურსები, რომელთა შორის არის ისეთი საკმაოდ სპეციფიკური დისციპლინები, როგორებიცაა: არაბულიდან ქართულად თარგმანის თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები; ყურანი; არაბული ლექსმცოდნეობა და სხვ.; შესაბამისად ის კარგად იცნობს ვაკანსიის პროფილს, მის მიერ შესაძლო წასაკითხ სასწავლო დისციპლინებში ასახელებს საგნებს, რომლებიც არაბისტიკის აკრედიტებულ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებშია შეტანილი და თავად აქვს აღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსების შედგენისა და წაკითხვის გამოცდილება. მის მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები ფორმითა და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ.

III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება;
აღნიშნული შეფასების საფუძველი გახდა საანგარიშო პერიოდში გამოცემული 5 წიგნი; მათ შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ჯალალ ედ-დინ რუმის „არსთა მესნევის" ქართული აკადემიური თარგმანი ტექსტოლოგიური კომენტარებით; ასევე საერთაშორისო სამეცნიერო პროექტი - „ნაჰჯ ალ-ბალაღას" არაბულიდან ქართულად თარგმნა, სამეცნიერო აპარატით აღჭურვა და გამოცემა; საანგარიშო პერიოდში 4 საერთაშორისო და 2 ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა და სხვ.;
წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციით ცხადია, რომ კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევით და აკადემიურ მთარგმნელობით საქმიანობაში იკვეთება სიახლეების ძიება და მათი საუნივერსიტეტო სწავლების პრაქტიკაში რეალიზაცია. აგრეთვე, აღსანიშნავია მთარგმნელობითი მიმართულებით კონკურსანტის მიღწევები და მთარგმნელობითი საერთაშორისო და ადგილობრივი ჯილდოები. ცალსახაა, რომ კონკურსანტის სამეცნიერო და ტექსტოლოგიურ-მთარგმნელობითი მუშაობა ხელს შეუწყობს ახალი კვლევითი თემატიკის შემოტანას სამეცნიერო და აკადემიურ სივრცეში, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას.
კომისიამ მიიჩნია, რომ უცხოეთის სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო ცენტრებთან ურთიერთობის გამოცდილებით, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობით, სამეცნიერო პუბლიკაციებითა და თარგმანებით კონკურსანტს შეუძლია ხელი შეუწყოს თსუ-ს საერთაშორისო სამეცნიერო რეიტინგის ამაღლებას. კომისიამ მიიჩნია, რომ წარმოდგენილ მოტივაციაში კონკურსანტს კარგად აქვს გამოკვეთილი საკონკურსო პროფილი და რეალისტურად მსჯელობს, თავად რა წვლილის შეტანა შეუძლია დარგის განვითარებაში როგორც საგანმანათლებლო, ისე სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით, თავისი კვლევის თემატიკით, მუშაობის გამოცდილებითა და სასწავლო პროცესში ჩართულობით.

IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება (აღნიშნული შეფასების საფუძველი გახდა საანგარიშო ბოლო 6 წლის მანძილზე მიღებული არაერთი ჯილდო, მაგ., ირანის ისლამური რესპუბლიკის თავრიზის უნივერსიტეტის შაჰრიარის საერთაშორისო მედალი, პრემია „საბა" ჯალალ ედ-დინ რუმის ექვნაწილიანი პოემის „არსთა მესნევის" ქართული თარგმანისა და

თანდართული კომენტარისათვის; პრეტენდენტის საავტორო პოეტური თარგმანების კრებულების პრეზენტაციები იტალიასა და საფრანგეთში; ლიტერატურული პრემია კატარში; თბილისის საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალებზე აღმოსავლური ლიტერატურის პოპულარიზაცია და საფესტივალო შეხვედრების მოდერაცია; გამომცემლობა „წიგნები ბათუმში" სერია „აღმოსავლური ლიტერატურის" დაარსება, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჯილდო აღმოსავლეთმცოდნეობის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის, გიორგი ლობჟანიძის ხელმძღვანელობით სადოქტორო დისერტაციის დაცვა და სხვ.).

საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტის საკონკურსო დოკუმენტაციის მაღალი შეფასების შემდეგ კონკურსანტი უკვე პრეტენდენტის სტატუსით წარსდგა კომისიის წინაშე გასაუბრებაზე და კომისიის წევრებს შესაძლებლობა მიეცათ, კიდევ ერთხელ დარწმუნებულიყვნენ მის სამეცნიერო და პედაგოგიურ შესაძლებლობებში.

აღინიშნა, რომ გიორგი ლობჟანიძეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან უკვე მრავალი წლის შრომითი ურთიერთობა აკავშირებს, აქვს მაღალი ცნობადობა, აქვს უნივერსიტეტის სახელით მიღწევები პროფესიულ საქმიანობაში როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებგარეთ, აქვს სწავლებისა და კვლევის ხანგრძლივი გამოცდილება, უცხოეთის ცენტრებთან კონტაქტები, საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის მაღალი მაჩვენებლები, საყურადღებო სამეცნიერო პუბლიკაციები, ძალიან მაღალი ხარისხის აკადემიური კომენტირებული თარგმანები, რომელთაც საერთაშორისო თუ ადგილობრივი პრემიები და ჯილდოები დაიმსახურეს. მზარდი სამეცნიერო-პროფესიული პროგრესით ის ხელს უწყობს თსუ-ს საერთაშორისო სამეცნიერო რეიტინგის ამაღლებას.

კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის წევრების მიერ კიდევ ერთხელ გამოითქვა მაღალი აზრი გასაუბრებაზე პრეტენდენტის გამოსვლის შედეგების შესახებ, სადაც მან დაწვრილებით ისაუბრა საკუთარ სამეცნიერო კვლევით და აკადემიურ მთარგმნელობით პროფილზე, სასწავლო-მეთოდურ საქმიანობასა და წაკითხულ სალექციო კურსებზე. კომისიის წევრები დარწმუნდნენ, რომ პრეტენდენტის სამეცნიერო-საგანმანათლებლო და მთარგმნელობითი საქმიანობა სავსებით და სრულად პასუხობს საკონკურსო მიმართულების მოთხოვნებს; მისი სამომავლო გეგმებიც საკმაოდ პერსპექტიული და რეალისტურია.

კომისიის წევრთა მიერ კონკურსის ორივე ეტაპის შეჯერების საფუძველზე ფარული კენჭისყრის შედეგად

გამოვლინდა გამარჯვებული -

არაბისტიკის კათედრაზე გამოცხადებულ კონკურსში ასოცირებული პროფესორის 1 საკონკურსო თანამდებობაზე („ა" კატეგორია) - **გიორგი ლობჟანიძე**

ფარულ კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის ხუთი წევრიდან ხუთივე წევრი.
ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ხუთივე წევრმა (5 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) ერთხმად დაუჭირა მხარი **გიორგი ლობჟანიძის** კანდიდატურას.

2. კომისიამ იმსჯელა მის მიერ გაწეული მუშაობის მოცულობის, მნიშვნელობისა და 2014 წლის 22 დეკემბრის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ N118/2014 დადგენილებით დამტკიცებულ აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიან წესთან შესაბამისობის შესახებ და ერთხმად დაადგინა, რომ გაწეული სამუშაო იყო მოქმედი რეგულაციების თანახმად განხორციელებული, შესაბამისად, შემაჯამებელი ოქმი გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

1. დარეჯან გარდავაძე - (კომისიის თავმჯდომარე)

2.მარიამ ნანობაშვილი - (კომისიის მდივანი)

3. მაია ანდრონიკაშვილი- (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)

4.თამარ მოსიაშვილი - (კომისიის წევრი)

5.ნანი გელოვანი - (კომისიის წევრი)

თარიღი: 24. 10. 2024